IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

წლიური ანგარიში 2015

სარჩევი

3 **IDFI-ის დირექტორის მისასალმებელი სიტყვა**

6 **IDFI-ის 2015 წლის მიღწევები თემატური მიმართულებების მიხედვით**

6 **კარგი მმართველობა**

6 ინფორმაციის თავისუფლება

8 სამოქალაქო კონტროლი

8 პარტნიორობა ღია მმართველობისთვის

9 საქართველოს მთავრობა - ღია მმართველობის პარტნიორობა

10 ღია პარლამენტი

16 სამართალი

17 საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება

18 წარმატებული საქმეები

19 ღია მონაცემები

20 ელექტრონული მმართველობა

21 რუსეთის გავლენა საქართველოზე

22 **ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა**

25 **მედია, ინტერნეტი და ტელეკომუნიკაციები**

25 ინტერნეტი

26 ციფრული მაუწყებლობა

27 მედია

28 **შეისწავლე წარსული უკეთესი მომავლისთვის**

29 **IDFI და სახელმწიფო რეფორმები**

29 **პარტნიორი არასამთავრობოები და IDFI-ის კოალიციური საქმიანობა**

30 **სხვადასხვა ღონისძიებები**

31 **დონორები და პარტნიორები ჩვენ შესახებ**

35 სოციალური ქსელები

35 ელექტრონული რესურსები

36 ჩვენი დონორები

31 IDFI-ის 2015 წლის ფინანსური ანგარიში

IDFI-ის დირექტორი გიორგი კლდიაშვილი

მისასალმებელი სიტყვა

მოხარული ვარ, გაგაცნოთ IDFI-ის 2015 წლის საქმიანობა და მიღწეული წარმატებები. დაფუძნებიდან (2009 წელი) დღემდე, IDFI-ის გუნდი ვმუშაობთ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე, ვიცავთ ადამიანის უფლებებს, ხელს ვუწყობთ კარგი მმართველობის დანერგვას, ვამზადებთ ინფორმაციულ ანგარიშებს, ხარისხიან კვლევებს და რეკომენდაციებს. ორგანიზაცია ერთგულია საკუთარი ღირებულებებისა და პრინციპების, რაც ჩვენს საქმიანობაში 2015 წელსაც აისახა.

2015 წელს, IDFI-მ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია:

- აგვისტოში, IDFI-მ პროექტ „Transparify"-ის ფარგლებში შემუშავებულ კვლევითი ორგანიზაციების გამჭვირვალობის საერთაშორისო რეიტინგში უმაღლესი, 5-ვარსკვლავიანი შეფასება მიიღო.
- IDFI-ის მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტი წარმატებით ჩაერთო ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP) და შეიმუშავა საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმა. ხოლო OGP-ის წლიურ სამიტზე, IDFI-ის წარდგინებით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო განსაკუთრებული ჯილდო სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობისთვის.

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალ კანონში საქართველოს ხელისუფლებამ გაითვალისწინა IDFI-ის რეკომენდაციები, რომლებსაც ორგანიზაცია წლების განმავლობაში ლობირებდა.
- უკვე მეორე წელია, რაც მსოფლიოში ინტერნეტის თავისუფლების შესახებ Freedom House-ის ყოველწლიური ანგარიშისთვის საქართველოში ინტერნეტის თავისუფლების მონაცემებს IDFI-ის ანალიტიკოსი ამზადებს.
- წინა წლების მსგავსად, ორგანიზაციის მიერ დამუშავებული მონაცემები და კვლევები 2015 წელსაც მოხვდა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.
- IDFI-ის უშუალო რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიქმნა ღია მონაცემების სამთავრობო პორტალი www.data.gov.ge, ხოლო IDFI-ის პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა – www.opendata.ge-ის“ ფარგლებში შექმნილი საინფორმაციო პლატფორმა – OpenData.ge აღიარებულ იქნა, როგორც მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი

პირველი და წარმატებული საჯარო ინფორმაციის მონაცემთა პლატფორმა.

- IDFI აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში. მხარდაჭერისა და თანადგომისთვის ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ ორგანიზაცია მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

- IDFI-მ გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც ეხება ღია და დემოკრატიულ მმართველობას, საჯარო სამსახურის რეფორმას, ინფორმაციის თავისუფლებას, კორუფციასთან ბრძოლას, ელ-მმართველობას, მედიის თავისუფლებას, ინტერნეტს, პროპაგანდას და სხვა საკითხებს, რომლებსაც აქტიურად იყენებენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარ გარეთ.

2015 წელს, IDFI განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ორგანიზაციამ „ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდისგან“ (OSI) ორგანიზაციული განვითარების ორწლიანი გრანტი მოიპოვა, რომელიც მიზნად ისახავს კვლევების ხარისხის ამაღლებას, კომუნიკაციისა და შიდა მმართველობის გაუმჯობესებას.

IDFI წარმატებით განაგრძობს თანამშრომ-ლობას პარტნიორ ორგანიზაციებთან და 2015 წელსაც აქტიურად მონაწილეობდა კოალიციურ საქმიანობაში ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ღია და გამჭვირვალე მართლმსაჯულების ხელშეწყობა და თავისუფალი მედია-გარემოს დამკვიდრება საქართველოში, ღია მმართველობის პარტნიორობა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჩვენ მადლობას ვუხდით ყველა პარტნიორ, ადგილობრივს და საერთაშორისო ორგანიზაციას მხარდაჭერისთვის და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს დონორ ორგანიზაციებსა და პარტნიორებს, რომელთა მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ საქმის კეთება, რომლის ერთგულიცაა IDFI-ის გუნდი. ასევე, მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს თითოეულ - თანამშრომელს, რომელიც თავდაუზოგავად მუშაობს იმისთვის, რომ ორგანიზაცია იყოს წარმატებული და მისი საქმიანობა - ეფექტიანი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

IDFI-ის 2015 წლის მიღწევები თემატური მიმართულებების მიხედვით

კარგი მმართველობა

ინფორმაციის თავისუფლება

2015 წლის დასასრულს, IDFI-მ შეაჯამა პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა – www.opendata.ge-ს“ ხუთწლიანი საქმიანობა. OpenData.ge აღიარებულ იქნა, როგორც მსოფლიოს მასშტაბით ერთერთი პირველი და წარმატებული საჯარო ინფორმაციის მონაცემთა პლატფორმა. 2015 წელს „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“ IDFI-მ დააჯილდოვა შემდეგი ცენტრალური საჯარო დაწესებულებები:

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
- აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი და ყველა სამინისტრო.

გასული წლის მონაცემებით, ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად დასახელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელმაც საჯარო ინფორმაციის 44 მოთხოვნა დატოვა უპასუხოდ.

ასევე, დასახელდა უწყებები, რომლებმაც, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს მნიშვნელოვნად გააუარესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები:

- **იუსტიციის სამინისტრო**
  ▼ 45,9% რეგრესი
  (უპასუხოდ დატოვა IDFI-ის 25 მოთხოვნა);
- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**
  ▼ 50,2% რეგრესი
  (უპასუხოდ დატოვა IDFI-ის 44 მოთხოვნა);
- **მთავრობის ადმინისტრაცია**
  ▼ 74,8% რეგრესი
  (მთავრობის ადმინისტრაციამ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგში მიიღო მხოლოდ 23.3 %).

ამას გარდა, 2015 წელს IDFI-მ გააგრძელა მიღებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე ანალიზის მომზადება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საქართველოს სამინისტროების, მათი დაქვემდებარებული

უწყებების და დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულებების სახელფასო პოლიტიკა და ამ მხრივ არსებული ხარვეზები, საჯარო დაწესებულებებში თანამშრომელთა გათავისუფლების სტატისტიკური ანალიზი, საჯარო დაწესებეულებების გენდერული სტატისტიკა, 11 აგვისტოს თბილისში გამართული ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის (უეფა) სუპერთასის ფინალურ მატჩზე დასასწრები ბილეთების საჯარო სექტორში დასაქმებული და სხვა მოქალაქეებისთვის ღონისძიების ბილეთების ხელმისაწვდომობა და სხვა.

ინფორმაციის თავისუფლების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მიმართულებით, ჩვენ გავაკეთეთ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ პაკისტანის კანონპროექტისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. კვლევამ ცხადყო, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმირების პროცესში ყურადსაღებია არა მარტო განვითარებული დასავლური ქვეყნების გამოცდილება, არამედ ისეთი ქვეყნის გამოცდილებაც, როგორიცაა პაკისტანი, იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ **პაკისტანის კანონის პროექტი შეფასდა, როგორც ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი საუკეთესო კანონმდებლობა** ინფორმაციის თავისუფლების გლობალურ რეიტინგში. საქართველოს კანონმდებლობის დასახვეწად IDFI-მ ასევე შეიმუშავა რეკომენდაციები.

ამავე წელს, ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ინფორმაცია ბულგარეთის კანონმდებლობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ შესული უახლესი ცვლილების შესახებ.

სამოქალაქო კონტროლი

სამოქალაქო კონტროლი ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ჩვენს საქმიანობაში. წინა წლების მსგავსად, 2015 წელსაც ინსტიტუტმა მოამზადა და გაავრცელა მრავალი კვლევა და სტატია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე, მაგალითად: პრემიებისა და დანამატების გაცემის პრაქტიკა, სხვადასხვა სტატისტიკური კვლევები (პროკურატურის მიერ განხორციელებული ფარული მიყურადება, ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა, დევნილთა ჩასახლებები და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა, C ჰეპატიტით და აივ ვირუსით ინფიცირებულ პირთა რაოდენობა, საპატრულო პოლიციის მიერ დაჯარიმებულ პირთა რაოდენობა, ხე-ტყის ჭრის, თევზჭერისა და ნადირობის უკანონო ფაქტები, ნარკოტიკული დანაშაულის სტატისტიკა და ა.შ.), საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ, პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციას შორის არსებული დავა პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით და ა.შ.

პარტნიორობა ღია მმართველობისთვის

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) 2011 წელს დაფუძნებული საერთაშორისო ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს მთავრობის გამჭვირვალობის, ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას. დღეისათვის, ინიციატივის წევრია მსოფლიოს 69 ქვეყანა.

საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობაში მონაწილეობს, როგორც სამთავრობო, ასევე საპარლამენტო დონეზე და OGP-ის სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. აღსანიშნავია, რომ IDFI საქართველოს OGP-ში ჩართვის დასაწყისიდანვე ჩამოყალიბდა როგორც ლიდერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების შემდგომი დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით კოორდინირებას უწევს საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს პარლამენტთან არსებულ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს.

2015 წელს IDFI აღიარებულ იქნა, როგორც საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციის მხარდამჭერი ორგანიზაცია. ასევე, 2015 წელს IDFI შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობის დეკლარაციას მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ.

საქართველოს მთავრობა – ღია მმართველობის პარტნიორობა

ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს მთავრობის ჩართულობას კოორდინირებას უწევს ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი, რომელიც დაკომპლექტებულია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან. ფორუმს ორი თანათავმჯდომარე ჰყავს: იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI).

2015 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ღია მმართველობა საქართველოს ფორუმისთვის, რადგან მიმდინარეობდა მეორე სამოქმედო გეგმის განხორციელება. 25 სექტემბერს გაიმართა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მეთხუთმეტე სამუშაო შეხვედრა, სადაც ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის სამდივნომ, რომელსაც იუსტიციის სახლის ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოადგენს, ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში წარადგინა. დოკუმენტში ასახულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება 2015 წლის ივნისის მდგომარეობით. აღსანიშნავია, რომ „ღია მმართველობა საქართველოს“ 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში შეტანილი 27 ვალდებულებიდან სრულად შესრულებულია 9, უმეტესწილად შესრულებულია 11, ხოლო ნაწილობრივ შესრულებულია 7 ვალდებულება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდი,

კერძოდ, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ჩართულობა, OGP-ის მიერ წევრ სახელმწიფოებს შორის აღიარებულია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, რაც დადასტურდა 2015 წლის ოქტომბერში OGP-ის გლობალურ სამიტზე ქალაქ მეხიკოში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ორგანიზებით 2015 წლის 3-4 ივნისს საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის რეგიონულ შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად თბილისს OGP-ის წევრი ევროპული ქვეყნების სამთავრობო წარმომადგენლები ეწვივნენ, მათ შორის გიორგი კლდიაშვილი, რომელიც 4 ივნისს კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა.

სამოქმედო გეგმასა და ღია მმართველობის პარტნიორობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე გიორგი კლდიაშვილმა არაერთ საერთაშორისო შეხვედრასა თუ კონფერენციაზე ისაუბრა. მათ შორის იყო:

- *აზიის განვითარების ბანკის რიგით 48-ე ყოველწლიური შეხვედრა ბაქოში;* [1]
- *რიგით მე-16 საერთაშორისო ანტი-კორუფციული კონფერენცია (IACC) მალაიზიის ქალაქ პუტრაჯაიაში;* [2]
- *აზია-წყნარი ოკეანის რეგიონული შეხვედრა მანილაში (ფილიპინები).* [3]

1 http://bit.ly/1Q8xh93
2 http://bit.ly/1LetWwK
3 http://bit.ly/1nXqkuM

ღია პარლამენტი

2015 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პარლამენტისთვის ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართულობის თვალსაზრისით. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა საქართველოს პარლამენტის წევრებისგან დაკომპლექტებული ინტერ-ფრაქციული ჯგუფი, რომელსაც დაევალა საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავება. ინტერ-ფრაქციულ ჯგუფს მხარი დაუჭერა IDFI-ის კოორდინაციით შექმნილმა საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფმა, რომლის წევრებიც იყვნენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. 2015 წლის 30 აპრილს ხელი მოეწერა საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციასა და მემორანდუმს საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფში ჩართულ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავების მხარდაჭერის მიზნით, IDFI-მ მოამზადა კვლევა, რომელშიც განხილულია საპარლამენტო ღიაობის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის მქონე სახელმწიფოების და მათ მიერ აღებული ვალდებულებების ანალიზი. კვლევამ ასევე გამოავლინა ინოვაციური მიდგომების დანერგვის, სოციალური მედიის და საპარლამენტო მონიტორინგის განმახორციელებელი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებული როლი საპარლამენტო საქმიანობის ღიაობის გასაუმჯობესებლად.

აქტიური სამუშაო პროცესის შედეგად, „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა“ დამტკიცდა, რასაც მოყვა 2015 წლის 17 ივლისს სამოქმედო გეგმის დამტკიცება საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე. გეგმა ითვალისწინებს 18 ვალდებულებას საპარლამენტო ღიაობის თვალსაზრისით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015-2016 წლების განმავლობაში უნდა შეასრულოს. **ამ სამოქმედო გეგმის დამტკიცებით საქართველო საპარლამენტო ღიაობის მიმართულებით „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფო გახდა.** აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში შესული 18 ვალდებულებიდან 5 IDFI-ის მიერ იყო ინიცირებული:

1. *კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა;*
2. *საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებ-გვერდის მეშვეობით;*
3. *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივება;*
4. *პარლამენტის ვებ-გვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება;*
5. *ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა.*

საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართულობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2015 წლის 14-15 სექტემბერს, თბილისში, საქართველოს პარლამენტის სასახლეში OGP-ის საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფის ორდღიანი კონფერენცია სახელწოდებით: „ღიაობის ვალდებულება: პარლამენტის სამოქმედო გეგმები, სტანდარტები და მეთოდები“. [4] მასში მონაწილეობას 32-მდე ქვეყნის უცხოელი დელეგატი, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იღებდნენ. საქართველოს პარლამენტთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად IDFI-ც იყო ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი. ღონისძიებაზე IDFI-ის დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა სესიას „ღიაობის გაძლიერება: სტანდარტების მიღება, გეგმების შემუშავება და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა“ გაუწია მოდერატორობა, ხოლო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ, ლევან ავალიშვილმა სესიაზე „საპარლამენტო ღიაობის ეფექტური სამოქმედო გეგმების შემუშავება“ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2015-2016 წარადგინა.

IDFI-მ საქართველოს პარლამენტის ინტერ-ფრაქციული ჯგუფი წარადგინა ღია მმართველობის პარტნიორობის ჯილდოზე, რომელიც გათვალისწინებულია იმ სახელმწიფო ორგანიზაციების ან სამუშაო ჯგუფებისთვის, რომლებიც ყველაზე უფრო აქტიურად ითვალისწინებენ სამოქალაქო ორგანიზაციების რეკომენდაციებს. IDFI-ის აქტიური მხარდაჭერის შედეგად, 2015 წლის 27 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში გამართულ OGP სამიტზე ღია მმართველობის პარტნიორობის ჩემპიონთა ჯილდო მოიპოვა. [5]

[4] http://bit.ly/20b1GWw

[5] http://bit.ly/1NYTLF9

> *25 წლის თავზე, საქართველოს პარლამენტის სახელი უკვე მსოფლიოშია ცნობილი.*

ასე გამოეხმაურა ჯილდოს მოპოვებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი.

მეხიკოში გამართულ OGP-ის გლობალურ სამიტზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს IDFI-ის დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა და გამგეობის თავმჯდომარემ ლევან ავალიშვილმა. OGP-ის სამოქალაქო საზოგადოების დღეზე გიორგი კლდიაშვილმა, Sunglight Foundation-ის პოლიტიკური მიმართულების ხელმძღვანელ ჯონ ვანდერლიჰთან ერთად მონაწილეობა მიიღო სესიაში „საკანონმდებლო ორგანოს პარტნიორობაში ჩართვის საუკეთესო გზები“. სესიის მიზანი იყო საერთო ხედვის ჩამოყალიბება

სამოქალაქო საზოგადოების, საპარლამენტო მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და პარლამენტის ურთიერთობისთვის, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება საპარლამენტო ღიაობის ქსელის შექმნა. გიორგი კლდიაშვილმა ასევე მონაწილეობა მიიღო სესიებში სახელწოდებით „ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ცოდნის გაზიარება - ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის მთავრობასთან თანამშრომლობა“ და „ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმები - იდეებიდან განხორციელებამდე“. ლევან ავალიშვილმა განიხილა „მოქალაქეზე ორიენტირებული ანტი-კორუფციული ინიციატივები“. სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრეს იმ მეთოდებსა და მექანიზმებზე, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობისას, კორუფციის პრობლემის გადასაჭრელად. სამუშაო შეხვედრა აერთიანებდა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე მთავრობის და კერძო სექტორის წარმომადგენლებს.

მეხიკოში გამართულ გლობალურ სამიტზე გიორგი კლდიაშვილი და ლევან ავალიშვილი, ინტერფრაქციული ჯგუფის თავმჯდომარესთან, თამარ კორძაიასთან ერთად, კოსტა რიკის რესპუბლიკის საკანონმდებლო ასამბლეის (პარლამენტის) პრეზიდენტს, რაფაელ ორზიტს შეხვდნენ. სამუშო შეხვედრა მიზნად ისახავდა ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს გამოცდილების გაზიარებას, საკანონმდებლო ცვლილებებისა და პროგრესის, საზოგადოებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების საკანონმდებლო პროცესში ჩართულობის შესახებ ინფორმაციის გაცვლას.

აღსანიშნავია, რომ OGP-ის გლობალურ სამიტზე ღია მმართველობის სამოქალაქო საზოგადოების დღეზე საერთაშორისო გამჭვირვალობა – მექსიკამ წარადგინა წიგნი სახელწოდებით **„ღია პარლამენტი, შედეგები და მოლოდინები“.** წიგნი ედუარდო ბოჰორკესის რედაქტორობით დაიბეჭდა, ხოლო მისი ერთ-ერთი თანაავტორი გიორგი კლდიაშვილი იყო. სტატიაში – „ღია პარლამენტი საქართველოს ღია

მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში“ – გიორგი კლდიაშვილი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს ბოლო წლების ისტორიას და ცხად წარმოდგენას უქმნის მკითხველს, თუ რა ისტორიულ საფუძველზე მოუხდა საქართველოს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. გიორგი ხაზს უსვამს ღია მმართველობის პარტნიორობის მნიშვნე-ლობას საქართველოსთვის, რადგან სწორედ ეს ინიციატივა გახდა ძალიან მნიშვნელოვანი ბაზისი ქვეყნისთვის ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის, სამოქალაქო ჩართულო-ბის, სამთავრობო სექტორში ინოვაციებისა და საჯარო სერვისების განსავითარებლად და უზრუნველსაყოფად.

2015 წელს საპარლამენტო ღიაობის მი-მართულებით, IDFI-მ ჩაატარა კონკურსი: ღია პარლამენტი - ახალგაზრდების ხმა. შერჩეულ 50-მდე სტუდენტს ჩაუტარდათ ტრენინგები ღია მმართველობის პარტნიორობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე, მოგვიანებით კი ისინი საქართველოს პარლამენტს ეწვივნენ და შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის თავმჯდომარეს - თამარ კორძაიას. ამავე კონკურსის ფარგლებში, მონაწილეებმა მოამზადეს საკუთარი ინიციატივები საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებით. საუკეთესო ინიციატივის ავტორი ორგანიზაციამ დეკემბერში გამოავლინა და დააჯილდოვა. [6]

[6] http://bit.ly/1nXqkuM

სამართალი

2015 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“. აღნიშნული კანონი ითვალისწინებს მრავალ იმ რეკომენდაციას, რომლითაც IDFI წლების განმავლობაში მიმართავდა საჯარო სამსახურის ბიუროსა და შესაბამის საჯარო დაწესებულებებს. ეს ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა მამხილებელთა დაცვა, კონკურსის ჩატარების წესი საჯარო სამსახურში, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა და სხვა. კანონპროექტის განხილვის პროცესში IDFI-მ წარმოადგინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით განსაზღვრული ცვლილებების სამართლებრივი ანალიზი. კვლევაში შეთავაზებული ცვლილებები დადებითად იქნა შეფასებული და წარმოდგენილ იქნა რეკომენდაციები კანონის პროექტის შემდგომი სრულყოფისა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოების მიზნით. 2015 წლის ოქტომბერში IDFI-მ გააკეთა „საჯარო სამსახურის შესახებ“ მეორე მოსმენით მიღებული კანონის პროექტის სამართლებრივი ანალიზი. გამოქვეყნებული კვლევის მიზანი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მეორე მოსმენით მიღებული ვარიანტის დადებითი მხარეების წარმოჩენა და იმ პრობლემური საკითხების ანალიზი იყო, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ გაუმჯობესებასა და დახვეწას. [7]

IDFI-მ ასევე განიხილა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 28 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება საქართველოს კანონს „თავისუფლების ქარტია“. აღნიშნული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო დასახელებული კანონით გათვალისწინებული თანამდებობის დაკავების შეზღუდვის რიგი სამართლებრივი საფუძვლები. დოკუმენტში IDFI განიხილავს და საერთაშორისო პრაქტიკას ადარებს კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებულ თანამდებობის დაკავების შეზღუდვებს იმ პირების მიმართ, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს მუშაობდნენ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე და/ან თანამშრომლობდა/თანამშრომლობდნენ ყოფილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) სპეციალურ სამსახურებთან. [8]

[7] http://bit.ly/1DIGE40

[8] http://bit.ly/25jAREK

წარმატებული საქმეები

2015 წლის განმავლობაში IDFI-ის მიერ გასაჩივრებულ იქნა საჯარო დაწესებულებათა არაერთი გადაწვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოები უარს აცხადებდნენ, გაეცათ ინფორმაცია მათ მიერ გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. სწორედ 2015 წელს შევიდა ძალაში სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები ისეთ საქმეებზე, როგორიც არის IDFI სასჯელაღსრულების სამინისტროს წინააღმდეგ [9] და IDFI ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ. [10] აღნიშნული გადაწყვეტილებები ადასტურებს, რომ სასამართლო ხელისუფლებაში არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ისეთი ინფორმაციის სჯარო ინფორმაციად მიჩნევის შესახებ, როგორიცაა თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები, როუმინგული და სამივლინებო ხარჯები, გამარტივებული შესყიდვები და ასშ.

საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება

IDFI-ის მიერ 2015 წელს მომზადდა არაერთი სტატია და კვლევა საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების მიმართულებით, რამაც საჯარო დაწესებულების რესურსების არაეფექტიანი გამოყენების ნიშნები გამოავლინა. ამას გარდა, 2015 წელს IDFI დაინტერესდა საქართველოს ლობისტური საქმიანობით და გამოაქვეყნა 2008-2015 წლებში საქართველოდან აშშ-ს ლობისტური კომპანიებისთვის გადარიცხული თანხების ანალიზი. [11] როგორც ირკვევა, 2008-2015 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე სულ დაიხარჯა 9,585,115.04 აშშ დოლარი, ხოლო სხვადასხვა კერძო პირებისა და პარტიების მიერ იმავე პერიოდში დაიხარჯა 5,270,490.09 აშშ დოლარი. ჯამურად წლის მანძილზე ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა, 7.2 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა 2012 წელს.

[9] http://bit.ly/2b84h2r

[10] http://bit.ly/2b2Oin1



* 2015 წლის მონაცემები არასრულია და შეიცავს მხოლოდ ამ დროისთვის არსებულ ფაქტობრივ გადარიცხვებს

კვლევის მიხედვით, სამი ყველაზე მსხვილი აქტორი, ვინც აშშ-ში ლობისტურ საქმიანობას ეწეოდა: საქართველოს მთავრობა, ეროვნული უშიშროების საბჭო და ბიძინა ივანიშვილი, რომლებზეც ჯამურად მოდის 2008-2015 წლებში გადახდილი მთლიანი თანხის 98%, ანუ 14,6 მლნ აშშ დოლარი.



[11] http://bit.ly/1L88aeB

IDFI-მ ასევე გამოაქვეყნა ანალიზი 2013-2015 წლებში ფარული მიყურადების რეგულირებასთან დაკავშირებით. ანგარიში მოიცავს ე.წ „გასაღებთან“ წვდომის საკითხს და მასთან დაკავშირებულ მიდგომებს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და პრეზიდენტის მხრიდან. კვლევაში განხილულია კამპანია **„ეს შენ გეხება“** და ინფორმაციის საჯაროობის პრაქტიკა ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე.

ღია მონაცემები

ინფორმაციის თავისუფლების მიმართულებით, IDFI-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა უკავშირდება ღია მონაცემების სტანდარტის დამკვიდრებას. 2015 წელს IDFI-მ დაიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ღია მონაცემების პორტალის www.data.gov.ge-ს განვითარების მხარდაჭერასა და საქართველოს საჯარო სექტორში ღია მონაცემთა სტანდარტების დანერგვას. პროექტის ფარგლებში საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების მონიტორინგის და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გზით იდენტიფიცირებული იქნა მონაცემთა ბაზები/რეესტრები, რომელთა განთავსებაც მიზანშეწონილია ღია მონაცემების პორტალზე. შეიქმნა ონლაინ გამოკითხვა, რომლის მიზანია იმ მონაცემების გამორკვევა, რომელთა ხელმისაწვდომობაც პრიორიტეტულია მოსახლეობისათვის. ღია მონაცემთა პორტალის სიკეთეებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა შეხვედრები,

სადაც დაინტერესებულ პირებს წარედგინათ საჯარო მონაცემთა ბაზების გამოყენებით IDFI-ის მიერ შექმნილი აპლიკაციები და განხილული იქნა ღია მონაცემების ბიზნეს-სტარტაპებისათვის გამოყენების გზები.

ამ მხრივ, IDFI-მ აგრეთვე მოამზადა უკრაინის ღია მონაცემების პორტალის შექმნისა და თანმდევი საკანონმდებლო პროცესების ანალიზი, და ხაზი გაუსვა საქართველოში ღია მონაცემთა ერთიანი პორტალის (www.data.gov.ge) სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნების საკანონმდებლო ვალდებულების საჭიროებას.

ელ-მმართველობა

ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება IDFI-ისთვის მოიცავს ელექტრონული მმართველობის სტანდარტების დანერგვას საქართველოში. ამ მიმართულებით ორგანიზაციამ ბრემენის უნივერსიტეტის მკვლევართან ერთად მოამზადა კვლევა, სადაც განხილულია საქართველოში ელექტრონული სერვისების მიწოდების, ელექტრონული ინფორმირების და ჩართულობის საკითხები. თეორიული მიდგომის საფუძველზე, კვლევაში განხილულია კავშირი ე.წ. „ჭკვიანი ქალაქების“ განვითარებასა და დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბებას შორის. საქართველოს მაგალითზე დაყრდნობით, კვლევა ცხადყოფს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობს დემოკრატიულ მმართველობის განვითარებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც „ჭკვიანი ქალაქის“ სამივე ფუნქცია:



მოქალაქეებისთვის სერვისების მიწოდება, მოქალაქეების ინფორმირებულობა და მოქალაქეებისთვის უფლებამოსილების მინიჭება თანაბრად არის განვითარებული.

2015 წლის ერთ-ერთი წარმატებული ადვოკატირება ეხება ქ. თბილისის მერიის ახალ ვებ-პორტალს, რომელიც 2015 წლის ივლისში იქნა გაშვებული სატესტო რეჟიმში. თბილისის პორტალის კონცეფცია შემუშავებული იქნა IDFI-ის მიერ ფონდ “ღია საზოგადოება საქართველოს” მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში: თბილისის მერიაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ახალი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა. პროექტით გათვალისწინებული ამოცანების მისაღწევად, IDFI-ის გუნდმა ჩაატარა საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და კვლევა. შეიმუშავა და თბილისის მერიას მიაწოდა პორტალის სტრუქტურის კონცეფცია. ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების მისაღწევად, პორტალზე ინტეგრირებული უნდა იყოს თანამედროვე მოდულები: საჯარო ინფორმაციისა და ღია მონაცემთა ონლაინ ბაზები, პეტიციებისა და პროექტების განყოფილებები, ქალაქის გამგებლობაში არსებული უწყებების და კომპანიების ჩამონათვალი, ადვილად ხელმისაწვდომი ანგარიშები და ბიუჯეტი, გამგეობებისა და სტრუქტურული ერთეულების ინდივიდუალური გვერდები, სპეციალური სერვისები შშმ პირებისთვის და სხვა.

რუსეთის გავლენა საქართველოზე

ქვეყანაში და მის გარშემო მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, IDFI დაინტერსდა საქართველოში რუსეთის გავლენით და 2015 წელს ამ მიმართულებით ორი კვლევა მოამზადა. ერთ-ერთი კვლევის მიზანი იყო, გამოეკვლია რუსული კაპიტალის წილი ქართულ ბიზნესში. კვლევა, რომელიც 2015 წლის მაისში გამოქვეყნდა, სექტორების მიხედვით წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებულ იმ კომპანიებს, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეები ფლობენ. კვლევის მიხედვით, ელექტროენერგია ის სფეროა, სადაც რუსული კომპანიები და რუსეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიები ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილნი ქართულ ბაზარზე. მათ შორის უმსხვილესია რუსული „ინტერ რაო“, რომლის აქციონერებიც რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებული კომპანიები არიან. რუსეთის მოქალაქეები ფიგურირებენ წყალმომარაგების, ძვირფასი ლითონების, მინერალური წყლების და საკომუნიკაციო სექტორშიც. კვლევის მიხედვით, მთლიანობაში 2014 წელს საქართველოში რუსეთიდან 66 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა და ამ მოცულობით რუსეთმა საქართველოში შემოსულ პირდაპირ ინვესტიციებს შორის მერვე ადგილი დაიკავა.

IDFI-მ ასევე გამოიკვლია რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე. კვლევა, რომელიც მომზადდა ვებ-გვერდისთვის www.damoukidebloba.com, მოიცავს იმ არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებს, რომლებიც ინსტიტუტის შეფასებით ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩევიან. კვლევაში განხილულია მსგავსი ორგანიზაციების აქტივობები, პროექტები და დაფინანსების წყაროები. პროექტი www.damoukidebloba.com შეიქმნა საზოგადოებრივ საწყისებზე “საინიციატივო ჯგუფის” მიერ, რომელიც ჩამოაყალიბეს IDFI-ის დამფუძნებლებმა, გიორგი კლდიაშვილმა და ლევან ავალიშვილმა.

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

პროექტის ფარგლებში ჩატარდა IDFI-ის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიება - საერთაშორისო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“, [13] რომელიც პრემიერმინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა. ფორუმის გახსნის ცერემონიაზე მოხსენე-ბებით ასევე წარდგნენ ევროკავშირის ელჩი საქართველოში - იანოშ ჰერმანი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში - ბეტინა კადენბახი.

სპეციალურად ფორუმისთვის საქართველოს ეწვივნენ:

- მაიკლ ემერსონი - ევროპული პოლიტიკის სწავლებათა ცენტრის (CEPS) უფროსი მკვლევარი;
- ფედერიკო ტარანტინი - საგარეო ენერგეტიკის პოლიტიკის ოფიცერი, ევროკომისია;
- იოხენ ციმერმანი - ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი;
- ანდრეი ილარიონოვი - Cato Institute, უფროსი მკვლევარი;
- ლინკოლნ მიტჩელი - ექსპერტი საქართველოს საკითხებში;
- მაიკლ ჩეჩირე - საგარეო პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის, სამოქალაქო სექტორის და მედიის წარმომადგენლები.

საერთაშორისო ფორუმის გარდა პროექტის ფარგლებში არაერთი სხვა ცნობიერების ამაღლების აქტივობა განხორციელდა. IDFI-მ სულ ხუთი დისკუსია ჩაატარა შემდეგ თემებზე:

- ეროვნული ვალუტის გაუფასურების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე; [14]
- საქართველოს ინტერნეტიზაცია და ფართოზოლოვანი განვითარება „საქართველო 2020-ის“ ფარგლებში; [15]
- 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საჯარო განხილვა; [16]
- საჯარო სამსახურის რეფორმა: ცვლილებები და პერსპექტივები; [17]
- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა – 2015 წლის შეჯამება. [18]

დისკუსიებზე მომხსენებლებად მოწვეულმა დარგის სპეციალისტებმა ასევე იმუშავეს თემასთან დაკავშირებულ ანალიტიკურ სტატიებზე. დისკუსიების სერიის ფარგლებში ჯამში ხუთი ანალიტიკური ნაშრომი შეიქმნა და გამოქვეყნდა IDFI-ის ვებ-გვერდზე.

დისკუსიებს ესწრებოდნენ მედიის, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვა სტუმრები, რომლებიც დისკუსიის რეჟიმში განიხილავდნენ ზემოთ აღნიშნულ თემებს.

პროექტის ფარგლებში, თბილისსა და რეგიონებში ჩატარებულ სალექციო

კურსებში [19] მონაწილეობა ჯამში 200-მდე სტუდენტმა მიიღო. მათთვის, როგორც IDFI-ის წარმომადგენლები, ისე მოწვეული ლექტორები საუბრობდნენ სტრატეგია 2020-ით გათვალისწინებულ სხვადასხვა თემაზე. მონაწილე სტუდენტები ხშირად გამოთქვამდნენ ორგანიზაციის სხვა სალექციო კურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილს.

პროექტი ასევე მოიცავდა ანალიტიკოსების კონკურსს. ანალიტიკოსების კონკურსში ანალიტიკური ნაშრომის საფუძველზე ოთხი სტიპენდიანტი შეირჩა. „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების“ ფარგლებში სტიპენდიით დაჯილდოვდნენ ლაშა არევაძე, დემნა დევდარიანი, თენგიზ ვერულავა და თამარ ჩარკვიანი. სტიპენდიანტებმა ოთხი თვის განმავლობაში ექვსი ანალიტიკური ნაშრომი წარმოადგინეს, რომელიც IDFI-ის ვებ-გვერდსა და პროექტისთვის სპეციალურად შექმნილ ბლოგზე ქვეყნდებოდა.

[13] http://bit.ly/1Q8owM9

[14 - 19] http://bit.ly/2gn2wwP

მედია, ინტერნეტი და ტელეკომუნიკაციები

ინტერნეტი

2015 წლის ოქტომბერში, ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოში ინტერნეტის თავისუფლების შესახებ Freedom House-ის ყოველწლიური ანგარიში. უკვე მეორე წელია, რაც Freedom House-ისთვის საქართველოში ინტერნეტის თავისუფლების მონაცემებს ამზადებს IDFI-ის ანალიტიკოსი.

ინტერნეტის თავისუფლების კუთხით 2014 წლის აგვისტოსა და 2015 წლის ნოემბრის პერიოდში IDFI-მ მორიგი ანგარიში მოამზადა. ანგარიშში გაანალიზებულია ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამთავრობო პოლიტიკა და ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებების დაცვა, შეფასებულია ინტერნეტიზაციის მიმართულებით გამოკვეთილი ტენდენციები და ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებული პრობლემები. ანგარიში ამ სერიის მეხუთე ნაშრომია, პირველი 2013 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა.

ასევე, ინტერნეტით საქართველოს დაფარვის მიმართულებით IDFI-ის მიერ ჩატარებულ კვლევებს შორის არის სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი საქართველოს ფართოზოლოვანი დაფარვის მაჩვენებლის გაზრდის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ანალიზი. კვლევა შეეხება 2015 წლის იანვარში საქართველოს მთავრობის ინიციატივით შემუშავებულ და გამოქვეყნებულ გეგმას - „ფართოზოლოვანი ინტერნეტი ყველა მოქალაქეს“. მასალა ცხადყოფს, რომ უმთავრესი პრობლემა, რომელიც უკავშირდება მაღალსიჩქარიანი ქსელის მშენებლობას კომერციულად ნაკლებად საინტერესო ზონებში, სწორედ ფინანსურ საკითხებსა და სახელმწიფოს მონაწილეობასთან არის დაკავშირებული. კვლევაში შეთავაზებულია საქართველოს ფართოზოლოვანი სტრატეგიის ჩამოყალიბების ეტაპები და რეკომენდაციები „საქართველოს ფართოზოლოვანი განვითარების“ პროექტის წარმატებულად დაგეგმვისა და განვითარებისთვის. რეკომენდაციები მოიცავდა არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე ერთობლივი კომისიის შექმნას ფართოზოლოვანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის და მისი რეალიზაციის ზოგადი გეგმის შესამუშავებლად; თითოეულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრას, კვარტალური ღია ანგარიშების მომზადებას გეგმისა და სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, სადაც ჩართული იქნება კომერციული სექტორი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და სამოქალაქო საზოგადოება ყველა სხვა დაინტერესებულ პირთან ერთად. ასევე ხაზი გაესვა გამჭვირვალობის და ღიაობის როლს დაგეგმარების და პროექტის განხორციელების პროცესში.

ამას გარდა, იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს“ ხელმძღვანელმა დააანონსა ახალი გეგმა, რომელიც ლიტვის გამოცდილებას ეყრდნობა, IDFI-მ მოამზადა საქართველოს ინტერნეტიზაციის ლიტვური მოდელის შეფასება, სადაც საუბარია ორ ქვეყანას შორის არსებულ ძირითად განსხვავებებზე და შესაძლო გამოწვევებზე.

ციფრული მაუწყებლობა

IDFI-ის წარმატებული ადვოკატირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა. მას შემდეგ რაც ხელისუფლებამ გაითვალისწინა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკით-ხებში IDFI-ის მიერ შემუშავებული რეკომენ-დაციები და მიღებულ იქნა ციფრულ საეთე-რო მაუწყებლობაზე გადასვლის მედიის ინტერესებზე მორგებული სახელმწიფო პოლიტიკა და სტრატეგია, IDFI-მ გააგრძელა ადვოკატირება და მხარდაჭერა თავად სტრა-ტეგიის განხორციელების პროცესში. IDFI-ის მიზნებში შედიოდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის, ასევე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, სსიპ „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ საქმიანობის მონიტორინგი, ტექნიკური, კონკურენციისა თუ ეკონომიკური ხარვეზების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების გან-საზღვრა და რეკომენდაციების მომზადება.

2015 წელს IDFI ჩართული იყო ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგსა და მხარდაჭერაში. პროცესის მხარდაჭერის მიზნით, IDFI-მ შეაფასა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის საინფორმაციო კამპანია და შეიმუშავა რეკომენდაციები მოსახლეობის ინფორმირების სტრატეგიის შექმნისათვის.

IDFI-ის მიერ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ანგარიშში განხილულია მომხმარებლის მხარეს არსებული გამოწვევები და მიღწევები, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ და არასუბსიდირებულ მომხმარებლებთან დაკავშირებული ინფორმაცია, საინფორმაციო კამპანიის და ციფრული საეთერო ქსელის მდგომარეობა, არაქართულენოვანი არხების და ქსელის მდგრადობის პრობლემები.

გარდა ადვოკატირებისა და კვლევითი საქმიანობისა, 2015 წელს IDFI აქტიურად იყო ჩართული ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებაში. ორგანიზაციის წარმომადგენლები მოსახლეობას პერიოდულად აწვდიდნენ განახლებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა ეტაპზე იყო და როგორ მიმდინარეობდა ანალოგური სიგნალის გამორთვისა და ციფრული სიგნალის ჩართვის პროცესები; [20] სად, რა ფასად და რომელი მოდელების სეტ-ტოპ-ბოქსების შეძენა შეეძლოთ, [21] როგორც თბილისში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ორგანიზაციის წარმომადგენლები

მართავდნენ ან მონაწილეობას იღებდნენ რეგიონებში, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებში, [22] სადაც დაწვრილებით უხსნიდნენ ყველა საჭირო ტექნიკურ დეტალს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის დაწყებიდან დღემდე ორგანიზაციამ სატელეფონო კონსულტაცია გაუწია 400-ზე მეტ მოქალაქეს.

2015 წლის ნოემბერში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერისა და თანადგომისთვის ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

[20] http://bit.ly/1LxOunV
[21] http://bit.ly/1QDkzPv
[22] http://bit.ly/1QVkSIR

მედია

გარდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისა, მედიის კუთხით IDFI-ის ადვოკატირების წარმატებული საქმიანობა 2015 წელს მოიცავდა რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი სახელმწიფო ტელევიზიის - ORT-ს პირველი არხის პროგრამების გავრცელების შეზღუდვას ღია საეთერო ციფრული ქსელით. 2015 წლის განმავლობაში ორჯერ, ივლისში და ნოემბერში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც შპს „რ.ბ.ჯ.“ რუსული სახელმწიფო პირველი არხის კონტენტის ტრანსლირებას ახდენდა. IDFI-ის დაუყოვნებლივი რეაგირებისა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ჩარევის შედეგად, პირველ შემთხვევაში კომპანია სანქციის სახით გაფრთხილდა, ხოლო მეორე შემთხვევაში IDFI-ის მიმართვის საფუძველზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საეთერო მაუწყებლობა აუკრძალა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა ORT-ს პროგრამების რეტრანსლატორს - შპს „რ.ბ.ჯ“-ს.

შეისწავლე წარსული უკეთესი მომავლისთვის

IDFI-ის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სახელმწიფო არქივების შესწავლა და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ასევე, IDFI იკვლევს საარქივო დოკუმენტებს, აგროვებს ფოტო და დოკუმენტურ მასალას, აწყობს გამოფენებს საარქივო მასალებზე დაყრდნობით.

საარქივო კვლევებზე დაყრდნობით IDFI მუშაობს XX საუკუნის ისტორიის შეფასებასა და გაანალიზებაზე, ტოტალიტარული სისტემების შესწავლაზე, ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროექტი იყო „სტალინის სიები საქართველოზე“, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა და გაანალიზდა მონაცემები 1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ მსხვერპლთა შესახებ.

ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ მიიღეს ლუსტრაციის კანონმდებლობა, რომელიც კომუნისტური პარტიის თანამდებობზე მომუშავე პირებს უკრძალავდა გარკვეული ვადით თანამდებობების დაკავების უფლებას. ასევე, თანამდებობების დაკავების უფლება ეზღუდებოდათ საბჭოთა სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომლებს.

აღნიშნული კანონმდებლობის მიზანი იყო ერთი მხრივ, კომუნისტური რეჟიმის მხილება და დანაშაულებათა დაგმობა, ხოლო მეორე მხრივ, მიზნად ისახავდა ქვეყნების შემდგომი უსაფრთხოების დაცვას და უშიშროების უზრუნველყოფას. ასეთი ტიპის კანონმდებლობა მიიღო ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, უნგრეთმა, ჩეხეთმა, პოლონეთმა და სხვა ქვეყნებმა.

2015 წელს, IDFI-მ გამოაქვეყნა კვლევა, სადაც მიმოიხილა საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ იმპლემენტაციის და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი, ასევე, სამართლებრივად გაანალიზა 2015 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის გამო, ძალადაკარგულად ცნო საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ მერვე მუხლის 1-ლილ პუნქტის „გ)“ და „დ)“ ქვეპუნქტები.

IDFI და სახელმწიფო რეფორმები

IDFI წლების მანძილზე აქტიურად არის ჩართული მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტის გაძლიერებაში.

2015 წლის განმავლობაში, IDFI-იმ წარადგინა მამხილებელთა დაცვის საკანონმდებლო რეგულაციებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები და ხედვები. ამას გარდა, IDFI ასევე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტთან დაკავშირებით საჯარო მოხელეთა გადამზადების პროცესშიც. ამ მიზნით ორგანიზაციის იურისტმა გაიარა ტრენერთა ტრენინგის სპეციალური კურსი ადმინისტრაციულ ორგანოთა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა სხვა 11 წარმომადგენლთან ერთად.

ამას გარდა, IDFI არის შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების სამუშაო ჯგუფის წევრი. როგორც სამუშაო ჯგუფის წევრმა, 2015 წელს, IDFI-მ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელიც მიმართულია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების, მოდერნიზაციის და საზოგადოებრივი ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვისკენ. რეკომენდაციები შემუშავებულია საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე. რეკომენდაციები ასახავს IDFI-ის ხედვას ორ საკითხზე: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოს შექმნას და საჯარო დაწესებულებებში ე.წ. „ოდეერების“ (უსაფრთხოების საკითხთა ოფიცრები) სისტემის გაუქმებას.

პარტნიორი არასამთავრობოები და IDFI-ის კოალიციური საქმიანობა

2015 წლის მაისში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადდა „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის პირველი ორი წლის შეფასების ანგარიში. ანგარიში საჯარო პოლიტიკის 20-ზე მეტ სფეროს ეხებოდა და თითოეულ თავზე შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე 15-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ იმუშავა. ანგარიშის ერთ-ერთი თავი ღია მმართველობის შესახებ მოამზადა IDFI-იმ.

IDFI რამდენიმე კოალიციის წევრი ორგანიზაციაა, და აქტიურად საქმიანობს კოალიციურ ინიციატივებშიც.

ინსიტუტი 6 კოალიციის წევრია:

- კოალიცია მედია ადვოკატირებისთვის;
- ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი;
- ანტიკორუფციული საბჭო;
- კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის;
- აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა;
- საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფი.

სხვადასხვა ღონისძიებები

18-19 სექტემბერს, უკრაინული მხარის მიწვევით ქალაქ ლვოვში გამართულ ელ-მმართველობის ფორუმზე IDFI-ის წარმომადგნელები, გიორგი კლდიაშვილი და ლევან ავალიშვილი სიტყვით გამოვიდნენ და ამ კუთხით საქართველოს გამოცდილება საერთაშორისო აუდიტორიას გაუზიარეს. [23]

ოქტომბერში, გიორგი კლდიაშვილის წერილი საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ გამოქვეყნდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სამართლებრივ ჟურნალში. [24]

ელ-მმართველობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობისა თუ ღია მონაცემთა ბაზების შესახებ ორგანიზაციის ანალიტიკოსებმა 2015 წლის განმავლობაში არაერთი შეხვედრა, ლექცია და ტრენინგი ჩაატარეს. აუდიტორიას წარმოადგენდნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლები, [25] რეგიონებში მცხოვრები ბიბლიოთეკარები, [26] თსუ-ს სტუდენტები, [27] ორგანიზაციები, რომლებიც შშმ პირებსა და ხანდაზმულებს სოციალურ სერვისებს აწვდიან [28] და სხვა.

წლის სხვადასხვა მონაკვეთში, IDFI-ის წარმომადგენლებმა უმასპინძლეს და ორგანიზაციის საქმიანობა გააცნეს უკრაინის დელეგაციას, [29] ყირგიზეთის მთავრობის პიარ გუნდს, [30] ყირგიზეთის პროფესორების ჯგუფს. [31]

23 http://bit.ly/1PNuNLd
24 http://bit.ly/1PNuNLd
25 http://bit.ly/1QrdKLe
26 http://bit.ly/20LcT2X
27 http://bit.ly/21xcQ8y
28 http://bit.ly/1Rpn5bh
29 http://bit.ly/1WebrPQ
30 http://bit.ly/20ox29l
31 http://bit.ly/1V3vLD7



დონორები და პარტნიორები

ჩვენ შესახებ

ქეთი ხუციშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო

IDFI ჩვენი პარტნიორია მისი დაარსების დღიდან – პირველი დაფინანსებაც ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსგან“ მიიღო. ბოლო წლებში, ინფორმაციის თავისუფლების სფეროში არსებული მიღწევები უშუალოდ არის დაკავშირებული ამ ორგანიზაციის სახელთან. IDFI-ის გუნდი თანმიმდევრულად და პროფესიონალურად მუშაობს, რომ საქართველოში საჯარო მმართველობა უფრო გამჭვირვალე და ინკლუზიური გახდეს.

გიგი ბრეგაძე

დემოკრატიული მმართველობის ჯგუფის ხელმძღვანელი
გაეროს განვითარების ფონდი

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი მხარდაჭერით, IDFI-მ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს პარლამენტის გამჭვირვალობას მისი ჩართულობით ღია მმართველობისთვის პარტნიორობის (OGP) გლობალურ ინიციატივაში. IDFI-ის მუშაობისა და სტრატეგიული რჩევების დამსახურებაა, რომ საქართველოს პარლამენტი გახდა პირველი ქვეყანა ევროპაში, რომელმაც მიიღო საკანონმდებლო გახსნილობის ვრცელი სამოქმედო გეგმა. IDFI-მ ასევე ხელი შეუწყო საქართველოს პარლამენტს მიეღო OGP-ის ჩემპიონთა ჯილდო 2015 წლის მექსიკის გლობალურ სამიტზე. ეს იყო იმის აღიარება, რომ პარლამენტის თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს სამაგალითო იყო. მეტიც, IDFI-ის დამსახურებით საქართველოს პარლამენტმა ხელი მოაწერა OGP-ის დეკლარაციას სახელწოდებით - ღია მმართველობა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებისთვის.

დონორები და პარტნიორები

ჩვენ შესახებ

ალბანა შალა

პროგრამის კოორდინატორი
Free Press Unlimited

IDFI-ის გუნდთან მუშაობა დიდი პატივი იყო. მათი ერთგულება გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისადმი ციფრულ ერაში სამაგალითოა. მათი კვლევა და პოლიტიკის ანალიზი რელევანტურია მთლიანად კავკასიის რეგიონისა და ყოფილი საბჭოთა კავშირისთვის. მათ მიერ წამოწეული საკითხები და არჩეული მეთოდები, რათა ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებს, ანგარიშვალდებულებას, კარგ მმართველობასა და განვითარებას, კარგად ასახავს ქართული საზოგადოების საჭიროებებს და პასუხობს 21-ე საუკუნის ადგილობრივ თუ გლობალურ გამოწვევებს.

მალხაზ ნიკოლაშვილი

მრჩეველი რეფორმების შედეგების საკითხებში
USAID-ის კონტრაქტორი „მმართველობა განვითარებისთვის“

2015 წელს, USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის საქართველოში“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, IDFI-მ მოიპოვა და დაიწყო 3 წლიანი პროექტის განხორციელება სახელწოდებით „საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის კონტროლი საქართველოში“. გრანტის მიზანია შექმნას და განახორციელოს „საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის კონტროლის მექანიზმი“. აღნიშნული მიზნისთვის შერჩეული საკვანძო სამინისტროების მიერ დაგეგმილი თითოეული მნიშვნელოვანი კანონი ან რეგულაცია შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად და რა ხარისხით იყო უზრუნველყოფილი სამოქალაქო ჩართულობა, რაც გაიზომება საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ოთხი პარამეტრის შეფასებით: საჯარო პოლიტიკის შემუშავება და განვითარება; საკანონმდებლო პროცესი და საჯარო პოლიტიკის პროექტის შემუშავება; მარეგულირებელი ზემოქმედების შეფასება; ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან.

დონორები და პარტნიორები

ჩვენ შესახებ

იოხენ ციმერმანი

პროფესორი, ბუღალტერიის თავმჯდომარე, ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი
ბრემენის უნივერსიტეტი

ჩვენ წარმატებით ვითანამშრომლეთ IDFI-ისთან პროექტ „საქართველო 2020-ის“ ფარგლებში. IDFI-მ მოგვაწოდა სათანადო ინფრასტრუქტურა და დაგვეხმარა რამდენიმე ღონისძიების ორგანიზებაში. საკუთარი კონტაქტების გამოყენებით იგი ასევე დაგვეხმარა გაგვეფართოებინა ჩვენი პროექტის წვდომა. IDFI კარგი პარტნიორი იყო ჩვენი პროექტის მართვასა და განხორციელებაში.

თამარ ასლანიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი
თელავის ი. გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

IDFI-სა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა 2014 წლის მიწურულს დაიწყო. დღევანდლამდე ორგანიზაციამ არაერთი შეხვედრა გამართა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთან და სტუდენტებთან საჯარო მმართველობის გამჭვირვალეობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით. ამას გარდა IDFI-ის პროექტების ფარგლებში უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარების სერია და საჯარო ლექციები, რომლებიც ემსახურებოდა თანამშრომელთა და სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობიდან გამომდინარე ვთვლით, რომ ორგანიზაციის საქმიანობა თანმიმდევრული და მაღალ პროფესიულია.

დონორები და პარტნიორები
ჩვენ შესახებ

ერიკ ჯექსონი

ფულბრაიტის ინგლისურის მასწავლებლის ასისტენტი
ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერების სწავლის დროს დავინტერესდი იმით, თუ რა მიმართება აქვს ინტერნეტს გამჭვირვალობასთან, დემოკრატიულ მონაწილეობასთან და ადამიანის უფლებებთან. 2013 წლის ზაფხულში IDFI-ის სტაჟიორი გავხდი და შესაძლებლობა მომეცა შემესწავლა ეს საკითხი სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივიდან. თავიდან ვნერვიულობდი, რადგან ეს ჩემი პირველი პროფესიული გამოცდილება იყო. თუმცა, იმ დროს ვერ წარმოვიდგენდი, თუ რამხელა გავლენა ექნებოდა IDFI-ის ჩემს მომავალზე.

IDFI-ის თავისუფლად შეეძლო ჩემთვის მხოლოდ დოკუმენტების რედაქტირება დაევალებინა. ამის ნაცვლად, ორგანიზაციამ მომცა შესაძლებლობა შემედგინა ინფოგრაფიკები, დამეწერა ბლოგპოსტები და გამეკეთებინა ანალიზი. ჩემმა კოლეგებმა არამხოლოდ მიიღეს ჩემი ნამუშევარი, არამედ ხელი შემიწყეს და ჩამრთეს გუნდურ მუშაობაში. რაც ყველაზე მთავარია, დავინახე, თუ როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას მიაღწიოს ცვლილებებს ქმედებებით და არა მხოლოდ სიტყვებით.

შემდეგ წელს სტაჟიორი გავხდი ტალინის (ესტონეთი) ელექტრონული მმართველობის აკადემიაში, სადაც გავეცანი ელექტრონული მმართველობის ესტონურ მოდელს. რომ არა IDFI-ში მიღებული გამოცდილება, მე ვერ შევძლებდი ესტონეთში გამგზავრებას. გარდა ამისა, სწორედ IDFI-ის (და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების) ღია მონაცემთა პორტალი - OpenData.ge - გახდა ჩემი პირველი აკადემიური სტატიის კვლევის საგანი - „ღია საქართველო: ღია მონაცემები როგორც ანტიკორუფციული ინსტრუმენტი“. სტატია წარვადგინე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ელ-მმართველობისა და ელ-დემოკრატიის დღეებზე ბუდაპეშტი (უნგრეთი). იგი ასევე გამოქვეყნდა IDFI-ის ვებ-გვერდზე. 2015 წლის სექტემბერში, საქართველოში დავბრუნდი ფულბრაიტის პროგრამის საშუალებით, რომლის ფარგლებშიც ლექციებს ვკითხულობდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და, ამავე დროს, რედაქტირება გავუწიე IDFI-ის საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 სამოქმედო გეგმას.

IDFI-ის მხარდაჭერით მე შევძელი სამი წლის წინანდელი საზაფხულო სტაჟირება გამომეყენებინა როგორც შემდგომი პროფესიული განვითარების საწყისი პლატფორმა, რისთვისაც სამუდამოდ მადლიერი ვიქნები. მე ახლაც თვალს ვადევნებ იმ მნიშვნელოვან საქმეს, რასაც IDFI აკეთებს საქართველოში დემოკრატიის განმტკიცებისთვის.

სოციალური ქსელები

Facebook	IDFI.official
Twitter	IDFIGeorgia
Youtube	IDFIGeorgia
LinkedIn	Institute for Development of Freedom of Information (IDFI)
Wikipedia	Institute for Development of Freedom of Information

ელექტრონული რესურსები

FOI ოფიცრების ბაზა

FOI სტატისტიკა

სასამართლო სტატისტიკა

თანამდებობის პირთა შემოსავლები

ვებ-გვერდების მონიტორინგი

ღია მმართველობა პარტნიორობის ბლოგი

გამოკითხვები

ჩვენი დონორები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

GGI GOOD GOVERNANCE INITIATIVE
დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

THINK TANK FUND
SUPPORTING POLICY RESEARCH

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

UNITED STATES OF AMERICA
U.S. EMBASSY TBILISI

Kingdom of the Netherlands

Federal Foreign Office

Universität Bremen

FREE PRESS UNLIMITED

მაგთი MAGTI

IDFI-ის 2015 წლის ფინანსური ანგარიში

დანახარჯები (ლარში):

- ხელფასები (ხელზე) – 438,480.8
- საშემოსავლო გადასახადი – 109,620.20
- წარმომადგენლობითი ხარჯები – 96,648
- მივლინება – 60,102
- კონსულტაცია – 55,902
- საოფისე ხარჯები – 35,064
- ქირა – 33,612
- სტიპენდიის ხარჯები – 18,527
- ტრანსპორტისა და საფოსტო ხარჯები – 16,880
- საკონფერენციო ხარჯები – 14,878
- სარეკლამო ხარჯები – 14,546
- კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები – 10,338
- საწვავის ხარჯები – 8,319
- დაჯილდოების ხარჯები – 6,825
- სხვა ხარჯები – 4,424

შემოწირულობები ფიზიკური პირებისგან:

გოგა თუშურაშვილი - 222 ლარი
გიორგი ხიშტოვანი - 1,110 ლარი
თამარ იაკობიძე - 1,108 ლარი
ჯამი: 2,440

დონორებისგან მიღებული შემოსავალი (ლარში):

- გაეროს განვითარების პროგრამა - 166,693.62
- ფონდი ღია საზოგადოება საქართველო - 282,457.91
- ბრემენის უნივერსიტეტი/გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო - 238,897.15
- Tetra Tech ARD/ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო - 45,267
- შპს მაგთიკომი - 35,000
- Stichting Free Press Unlimited/ ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოსა და სომხეთში – 14,856.10
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდი - 79,069.12
- შპს Deloitte Consulting//ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო – 15,859.79
- **ჯამი: 843,100.69**

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

გრიბოედოვის ქუჩა 3
თბილისი, 0108, საქართველო
www.idfi.ge | info@idfi.ge
+995 322 921514